პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

12 მარტი, ოთხშაბათი, 1986 წ.
№ 49 (9140) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჩვენი გაზეთის პრიზი— თბილისელებს

„დინამოს“ რესპუბლიკურმა საბჭომ ჩვენი გაზეთის რედაქციასთან ერთად წლეულს უკვე მესამედ ჩაატარა ჭაბუკ კალათბურთელთა ტრადიციული საკავშირო ტურნირი. „ლელოს“ პრიზს ერთმანეთს ეცილებოდა 1971-1972 წლებში დაბადებული სპორტსმენებით დაკომპლექტებული 5 გუნდი (გარდა ამისა, უკონკურსოდ გამოდიოდა თბილისის „ნორჩი დინამოელის“ მეორე გუნდიც). ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ ტურნირში მასპინძლებმა გაიმარჯვეს — ყველა მეტოქე დაამარცხეს (მოსკოვი 73:65, ალმა-ათა 82:63, „დინამო“-2 63:62, ბელგოროდი 91:54, ხარკოვი 56:45) და მთავარი ჯილდო მოიპოვეს. ტურნირზე დაწესებული იყო სპეციალური პრიზები. ორი პრიზი — საუკეთესო მცველისა და სნაიპერისა — დაიმსახურა მოსკოველმა იური სმირნოვმა, საუკეთესო თავდამსხმელის ჯილდო გადაეცა ირაკლი ბაქრაძეს, ხოლო საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელისა — კახა შენგელიას (ორივე — „დინამო“-I).

ტურნირის შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ შეჯიბრების მონაწილე რამდენიმე გუნდის ხელმძღვანელებს. მაგრამ, სანამ მათ გადავცემდეთ სიტყვას, დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ თბილისის სპორტკომიტეტისა და ლენინის სახელობის სპორტული დარბაზის ხელმძღვანელობას შეჯიბრების ჩატარებაში გაწეული დახმარებისთვის. ახლა კი მოვუსმინოთ მწვრთნელებს:

ალექსანდრე ბაბუშკინი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, უკრაინის სსრ დამსახურებული მწვრთნელი, ხარკოვის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტსკოლის გუნდის მწვრთნელი: „ტრადიციული საკავშირო ტურნირი „ლელოს“ პრიზზე თითქოს თანდათან იკრებს ძალას, მისი მნიშვნელობა და ავტორიტეტი ყოველწლიურად იზრდება. თუ წინა ორ ტურნირში ფინალში გავედით, ამჯერად მხოლოდ მეოთხე ადგილი გვერგო, მაგრამ კმაყოფილი დავრჩი და აი, რატომ: საგრძნობლად გამწვავდა კონკურენცია; მოსკოვისა და ალმა-ათის გუნდები ფაქტობრივად ამ ქალაქის ნაკრები გუნდები იყვნენ; ამ ასაკობრივ ჯგუფში კარგი გუნდი ჰყავდა რუსეთის ფედერაციის ჩემპიონს — ბელგოროდის „დინამოსაც“. ასე რომ, ჩვენმა ბიჭებმა მდიდარი გამოცდილება შეიძინეს. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ალმაათელი დენის პეტენიოვისა და თბილისელი კახა შენგელიას თამაში. მათ ჯერ 14 წელიც არ შესრულებიათ, სიმაღლით კი ბევრ უფროს „კოლეგასაც“ დაჯაბნიან (პეტენიოვის სიმაღლეა 205 სმ, შენგელიასი — 203 სმ). მასპინძელთა გუნდი, ისევე როგორც შარშან, კარგად მოემზადა შეჯიბრებისთვის და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვა. ტურნირი შესანიშნავად იყო ორგანიზებული. სასიხარულოა, რომ ტურნირი უკვე ტრადიციულ შეჯიბრებად იქცა — იმედი მაქვს, კიდევ არაერთხელ ვესტუმრებით თქვენს ქალაქს“.

სერგეი ზაზულინი, ყაზახეთის სსრ დამსახურებული მწვრთნელი, ალმა-ათის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტსკოლის გუნდის მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელი: „თბილისში ჩვენი საუკეთესო გუნდი ჩამოვიყვანეთ. მისი წევრებიდან სამი საკავშირო ნაკრების კანდიდატია. მათი სიმაღლე 2 მეტრს აღემატება. სხვათა შორის, ნაკრების კანდიდატები სხვა გუნდებშიც იყვნენ და მათ თამაშს ყურადღებით, ასე ვთქვათ, დაინტერესებული კაცის პოზიციიდან ვადევნებდი თვალს. მოსწავლეთა მომავალ საკავშირო სპარტაკიადაზე ალბათ სწორედ დღევანდელი 14-15 წლის ბიჭები იასპარეზებენ და თბილისის ტურნირი ამ მხრივაც საგულისხმო იყო. რა თქმა უნდა, ჭაბუკ სპორტსმენთა თამაშში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია, განსაკუთრებით ტექნიკურ მომზადებაში, მაგრამ მთავარია იყოს მასალა, რომლისგანაც მომავალში კარგი კალათბურთელები გამოიძერწებიან“.

ჯამლეტ ხუხაშვილი, თბილისის „ნორჩი დინამოელის“ მწვრთნელი: „მართალია, მთავარი პრიზი მოვიპოვეთ, მაგრამ ასპარეზობისას ჩვენი გუნდის მრავალი ხარვეზი გამოიკვეთა. მისი სუსტი მხარეები განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა მოსკოველ კალათბურთელებთან შეხვედრაში. ეს მომავლისთვის კიდევ მეტ მუშაობას გვავალებს. ჩვენი რესპუბლიკის ბავშვთა კალათბურთში მომუშავე მწვრთნელები ხშირად სინანულს გამოვთქვამთ ტანმაღალ სპორტსმენთა ნაკლებობის გამო. ამ მხრივ ამჯერად სასაყვედურო არაფერი გვქონდა — გვყავდა რამდენიმე ტანმაღალი, უდავოდ პერსპექტიული კალათბურთელი. შეჯიბრებამ გამარჯვების სიხარულთან ერთად საფიქრალიც ბევრი მოგვიტანა, თუმცა უამისოდ, ალბათ, შეუძლებელიც არის წინსვლაზე ფიქრი“.

სურათზე: „ლელოს“ პრიზის მფლობელი — „ნორჩი დინამოელის“ პირველი გუნდი. სხედან (მარცხნიდან): პავლე მაჭავარიანი, ირაკლი ბაქრაძე, დათო დევაძე, ლევან ჭაბუკიანი, ნოდარ გრძელიშვილი, დათო ცისკარიშვილი; დგანან: გუნდის მწვრთნელი ჯამლეტ ხუხაშვილი, ზაზა იასაშვილი, დათო ამაშუკელი, პაატა ჩიბალაშვილი, ზაზა გვარამია, ზურაბ კუტიბაშვილი, გიორგი დალელაშვილი, კახა შენგელია, „დინამოს“ ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტსკოლის დირექტორი გივი ბიჭიაშვილი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (კიევი) 0:0.

ორშაბათს ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე ადგილობრივმა „ტორპედომ“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონს კიევის „დინამოს“ უმასპინძლა და ძლიერ მეტოქესთან ასპარეზობაში მორიგი ქულა მოიპოვა.

იხ. მე-3 გვ.

გიწვევთ ბაკურიანი და გუდაური

ზუსტად ერთი წლის წინათ – 12 მარტს გუდაურმა პირველად უმასპინძლა სამთომთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრებას. წელს ეს ასპარეზობა ბაკურიანსა და გუდაურში ჩატარდება. ბაკურიანში შეჯიბრება ხვალ დაიწყება და 17 მარტამდე გასტანს, 18 მარტიდან ესტაფეტას მიიღებს გუდაური. შეჯიბრება 24 მარტს დამთავრდება.

ჩვენს რესპუბლიკაში ცურვის განვითარებისთვის უამრავი პრობლემაა გადასაჭრელი. ერთი მწვავე საკითხია ის, თუ როგორ გვაქვს ორგანიზებული ბავშვებთან მუშაობა ეგრეთ წოდებულ დამწყებ ჯგუფებში. დღეს სწორედ ამ საკითხზე ვამახვილებთ სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ყურადღებას.

იხ. მე-2 გვ.

გიორგი თენაძე მესამე იყო

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში ჩატარდა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი „განთავისუფლების თასზე“. საბჭოთა მოჭიდავეებმა შვიდი საპრიზო ადგილი დაიკავეს.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: პაველ პეტრიკოვი, ვილემ შეფა, იაროსლავ სლაბი (ყველა — ჩეხოსლოვაკია), რიოჩი მაცუდა (იაპონია), ალექსანდრე სივცევი (სსრ კავშირი), მიგელ აურელიო (ბრაზილია) და ფრედ ოლგორნი (გდრ).

საბჭოთა სპორტსმენთაგან მეორე ადგილები მსოფლიო ჩემპიონმა ლენინგრადელმა იური სოკოლოვმა და მსოფლიოს ექსჩემპიონმა მაიკოპელმა ხაზრეთ ტლეცერიმ დაიკავეს. 71 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს ჯილდო გორელმა ძიუდოისტმა გიორგი თენაძემ მოიპოვა. მასთან ერთად მესამე ადგილზე გავიდნენ ჩელიაბინსკელი იგორ ქუჩკოვი (60 კგ), ქელეზნოვოდსკელი იგორ გივუკი (65 კგ) და კურსკელი ალექსანდრე შუროვი (მძიმე).

ელვა-ინფორმაცია

ბერლინი. ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის მესამე შესარჩევი ჯგუფის მონაწილეებმა (საფრანგეთი, ისლანდია, გდრ, ნორვეგია, სსრ კავშირი) მოილაპარაკეს თამაშების განრიგზე, რომელიც 10 სექტემბერს ისლანდია-საფრანგეთის გუნდების მატჩით დაიწყება.

საბჭოთა კავშირის ნაკრები თავის პირველ შეხვედრას ისლანდიასთან 24 სექტემბერს რეიკიავიკში ჩაატარებს. შემდეგ მისი შეხვედრების კალენდარი ასეთია: 11 ოქტომბერი: საფრანგეთი — სსრ კავშირი, 29 ოქტომბერი: სსრ კავშირი — ნორვეგია, 1987 წლის 29 აპრილი: სსრ კავშირი — გდრ, 3 ივნისი: ნორვეგია — სსრ კავშირი, 9 სექტემბერი: სსრ კავშირი — საფრანგეთი, 7 ოქტომბერი: გდრ — სსრ კავშირი, 28 ოქტომბერი: სსრ კავშირი — ისლანდია.

ამ ჯგუფის ბოლო მატჩში, რომელიც მომავალი წლის 18 ნოემბერს გაიმართება, ერთმანეთს საფრანგეთისა და გდრ-ის ნაკრები გუნდები შეხვდებიან.

კრასნოიარსკში, საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის VI სპარტაკიადაზე 18 წლის თბილისელმა ანდრეი ტოროსიანმა ციგურებით ფიგურულ სრიალში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XXVII ყრილობაზე ითქვა: „ჩვენ ვერცერთი ნაბიჯით ვერ წავიწევთ წინ, თუ ვერ ვისწავლეთ ახლებურად მუშაობა, თუ ვერ დავძლიეთ ჩამორჩენილობისა და კონსერვატიზმის ყოველგვარი გამოვლინებანი, თუ არ გვეყო ვაჟკაცობა ფხიზლად შევაფასოთ ვითარება და ისეთად დავინახოთ, როგორიც არის. იმისთვის, რომ უპასუხისმგებლობა წარსულს ჩაბარდეს, წესად უნდა დავამკვიდროთ საგნებისათვის საკუთარი სახელების დარქმევა, ყველაფრის შესახებ პირდაპირი მსჯელობა".

ლახტის წრეში

სახიფათო ბაცილები ცისფერ ბილიკებზე

ანუ იმის შესახებ, თუ როგორ შეიჭრა ანგარება ცურვის სწავლებაში

ცურვა ჩვენში, შეიძლება ითქვას, მოსახლეობის მოთხოვნილებად იქცა. რომელ მშობელს არ უნდა, რომ მისმა შვილმა ცურვა იცოდეს, ჯანმრთელი იყოს? საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანებსაც ხომ ყველაზე მეტად მაინც წყლის სამყარო იზიდავს. და, რაკი მსურველი ძალიან ბევრია, ცურვაში მეცადინეობაც სულ უფრო გაძნელდა. ცურვის აბონემენტის შეძენაც გართულდა, არის ნაცნობ-მეგობრების ძებნა აუზის ხელმძღვანელთა და მწვრთნელთა „გულის მოსალბობად". უპროტექციოდ ვერც შენთვის სასურველ დროს მოხვდები აუზზე.

ამგვარი ბუმი ერთის მხრივ თითქოს სასარგებლოც უნდა იყოს — მასობრიობა ხომ ოსტატობის საფუძველია. მაგრამ სადღაა ოსტატობა! მასობრიობასა და ოსტატობას შორის ხიდია ჩატეხილი. თუ ვინმე როგორღაც მაინც ახერხებს „წყალგაღმა" გასვლას, ეს მეტწილად შემთხვევითია და არა კანონზომიერი. შემთხვევითობა კი დიდ სპორტში კვალს ვერ ტოვებს. ფაქტობრივად დიდი სპორტისთვის ნიჭიერთა შერჩევაში მოზარდთა მხოლოდ მცირე ნაწილი მონაწილეობს, თუმცა, მარტო მონაწილეობა რა ბედენაა, ყველაფერი მწვრთნელზეა დამოკიდებული, მწვრთნელები კი პერსპექტიულად მაინც იმას მიიჩნევენ, ვისი მშობლებისგანაც პატივისცემას გამოელიან. ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენს დედაქალაქში კარგა ხანია გავრცელდა ხმები: ბავშვი რომ ცურვაზე ატარო, მწვრთნელს, სულ მცირე, 30-50 მანეთი უნდა გადაუხადო დამატებითო. ზოგი მშობელი თურმე უფრო ხელგაშლილია, გააჩნია შეძლებას.

ხშირად ასეც ხდება: არ გვინდა დავიჯეროთ ის, რაც მართლა იკიდებს ფეხს. ჭორი გვგონია, ყურს არ ვათხოვებთ და მერე ისე მომძლავრებული გვეღობება წინ, მოგერიება გვიჭირს. ანგარებას ყველა საქმეში შეაქვს გამხრწნელი ბაცილა. როგორ გგონიათ, ცურვას, დიდ სპორტს არ ავნო ამგვარმა თვითნებობამ? ავნო და მერე როგორ. მკითხველს უფრო ცხადად რომ გავაგებინოთ, ვიტყვით, რას ვგულისხმობთ. დღეს საქართველოში 160 შტატიანი მწვრთნელი მუშაობს ცურვაში, ეს, ცხადია, ცოტა არ არის. უმეტესობას 15-20 წლის მუშაობის სტაჟი აქვს. რას აკეთებენ ისინი, ვის ზრდიან, რისთვის იღებენ ხელფასს, რას მატებენ სპორტს. ამის გამკითხავი არავინ არის — სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების ხელმძღვანელებს, საქართველოს სპორტკომიტეტის შესაბამის განყოფილებას ისეთი პოზიცია უკავიათ, თითქოს ეს მათი საქმე არ იყოს. რატომღაც არ გვახსენდება, სპორტულ საზოგადოებებს, უწყებებს ვინმე დაესაჯოთ ან სამუშაოდან დაეთხოვოთ იმისათვის, რომ ათეული წლები უშედეგოდ მუშაობდა. მხოლოდ შარშან რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა მწვრთნელთა ატესტაციის დროს ოთხი მწვრთნელი ჩამოაშორა ცურვას უნაყოფო მუშაობისთვის. რამდენიმე პირობითად დატოვეს სამუშაოზე. მომავალში ატესტაცია, ვფიქრობთ, უფრო მკაცრად უნდა მოეკიდოს მწვრთნელთა შეფასებას.

ცურვაში მომუშავე მწვრთნელთა უმრავლესობა ჩვენს რესპუბლიკაში „ვიწრო სპეციალობაში" (ცურვის შესწავლას ვგულისხმობთ) ჩაიკეტა, ამით კმაყოფილდება, აღარ ფიქრობს უფრო წინ წავიდეს. ახლა ისიც ავხსნათ, რატომ ხდება ასე: მშობლებს, ცხადია, სურთ, რომ ბავშვმა ცურვა ისწავლოს, ამიტომ მეცადინეობის პერიოდში მწვრთნელს მშობლის ზრუნვა-ყურადღება არ აკლია. ასე მოდიან და მიდიან თაობები. დიდი სპორტი მწვრთნელს თავად არ აინტერესებს და მშობელს როგორღა დააინტერესებს? ეს ის მწვრთნელები არიან, რომლებიც დღენიადაგ იმაზე ფიქრობენ, როგორ შეინარჩუნონ არა სპორტსმენი, არამედ შემოსავლიანი ან გავლენიანი მშობელი. „ოქროს თევზის" ძიება „მარჩენალი" მშობლის პოვნით მთავრდება. ვიღას ახსოვს ტალანტები.

ვფიქრობ, აქ უკვე მივადექით კიდევ ერთ მთავარ სათქმელს — მწვრთნელი ახლოს არ იკარებს, როგორც იტყვიან, გულს არ უჩვენებს იმ მშობელს, ვისგანაც პატივისცემას არ მოელის, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ასეთი მშობლის ბავშვი უპერსპექტივოა და ცურვას თავი უნდა დაანებოს. ასე იკარგება ტალანტი. ნუ გვეტყვით, არ შეიძლება ყველას ასე ერთი საზომით მივუდგეთო. თუ თქვენ სხვაგვარად ფიქრობთ, ჩვენც გვაქვს საპირისპირო მოსაზრება — თუ ასე არ არის, რატომ „იძირება" ცურვა ჩვენს რესპუბლიკაში? რამდენი მწვრთნელია დღეს საქართველოში, რომელმაც თუნდაც პირველთანრიგოსანი ან ოსტატობის კანდიდატი (ოსტატზე აღარაფერს ვამბობთ) მოამზადა?

ზოგიერთ საცურაო აუზზე ბავშვებთან მუშაობას საერთოდ არაფრად დაგიდევენ. ამ თვე-ნახევრის წინათ რედაქციაში მშობელთა ერთმა ჯგუფმა მოგვაკითხა — თბილისის კიროვის რაიონის სასკოლათაშორისო საცურაო აუზზე ბავშვთა ორი ჯგუფი დახურესო. როგორც გამოირკვა, უფროსებს მოზარდებისთვის გამოყოფილ საათებში მოსურვებიათ ვარჯიში. ასეთი ფაქტების შემდეგ ძნელია იფიქრო, რომ ცურვაში ყველაფერი რიგზეა და თუ დღეს გვიჭირს, ხვალ უკეთ გვექნება საქმე. ვინც კარგად იცნობს ახლა ცურვაში შექმნილ მდგომარეობას, ალბათ მხოლოდ ერთს ფიქრობს: ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ, იქნებ ძნელი იყოს, მაგრამ რაღაც უნდა დავთმოთ, უნდა შეველიოთ იმათ, ვინც მოვალეობა პირადი შემოსავლის წყაროდ აქცია და არაფრად აგდებს საერთო ინტერესებს.

მკაცრი მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა — აი, რა არის მთავარი. ყველაფერი ზემოდან უნდა დავიწყოთ, სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების, სპორტული სკოლების, თვით სპორტული ბაზების ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა წამოვწიოთ წინ. ახლა ისიც ვთქვათ, კონკრეტულად საიდან უნდა დავიწყოთ?

პირველ ყოვლისა, თვით საცურაო აუზების ხელმძღვანელი კადრების მუშაობას უნდა გადავხედოთ. ზოგან თვით აუზის დირექტორები უწყობენ ხელს ანგარებას, აქეზებენ კიდეც მწვრთნელებს, საბონემენტო და სპორტული ჯგუფების ინტერესების ერთმანეთში არევით ახერხებენ, რაც შეიძლება მეტად მოითბონ ხელი. რას ვგულისხმობთ? იმას, რომ საბონემენტო ჯგუფიდან სპორტულ ჯგუფში მოხვედრა პრესტიჟული საქმეა. იქ აბონემენტის მაგივრად ბავშვს საშვებს აძლევენ, რაც მშობელსაც ეამაყება, მწვრთნელის „პატივისცემა" კი არ წყდება (წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვი ვერ გაუძლებს საკონკურსო გამოცდას). ეს ეტაპი დიდად არ განსხვავდება პირველისაგან, ისევ მოსამზადებელ პერიოდად ითვლება და ჯერ შორსაა დიდი სპორტისაგან. მშობელს „სპორტულ ჯგუფში" (ასე არქმევენ მწვრთნელები) შვილის მოხვედრა ხელს აძლევს, დატვირთვა დიდი არ არის. არ იფიქროთ, რომ მწვრთნელებს, როცა „სპორტულ ჯგუფში" გადაჰყავთ ბავშვები, დიდი სპორტის ინტერესები ამოძრავებთ და ნიჭიერთა შეფასებაში ობიექტურნი არიან. აქაც ანგარებაა წინა პლანზე წამოწეული. ბოლოს და ბოლოს მშობელი მაინც ასე მსჯელობს: რით არის ჩემი შვილი ნაკლები, რატომ უნდა აჯობოს სხვამ და რატომ უნდა დაიჩაგროსო? ამგვარი ფსიქიკის კარგად მცოდნე მწვრთნელები აქაც ხელებში შეჰყურებენ მშობლებს.

ამას წინათ ერთი მშობელი აღშფოთებული გვიყვებოდა: „შესაძლებლობა არა მაქვს პატივი ვცე მწვრთნელს, არადა, ჩემი შვილი არ გამოჰყავს შეჯიბრებაში, სადაც ბავშვები სპორტული ჯგუფებისთვის უნდა შეარჩიონ. ბავშვსაც ვერ ვუმხელ სიმართლეს. დილით ადრე დგება და ვარჯიშობს, ცურვის მოძრაობებს ხალიჩაზე ასრულებს, ძალიან მოწადინებულია, იქნებ შეჯიბრებაზე მასწავლებელმა მეც გამომიყვანოსო". ისე ნურავინ გაგვიგებს, თითქოს ცურვის მასობრივი სწავლების წინააღმდეგი ვიყოთ. არა, უამისოდ არც დიდი სპორტი იქნება, მაგრამ მოსამზადებელ ჯგუფებთან მუშაობას მწვრთნელი ათეული წლობით რომ ვერ ელევა, ცოტა ამანაც უნდა დაგვაფიქროს. გაჩუმება აღარ შეიძლება. ხმამაღლა და ხაზგასმით ვაცხადებთ: უაღრესად სერიოზულადაა საქმე, მეტის მოთმენა უკვე სრულ კატასტროფას ნიშნავს. თუ კიდევ დუმილს ვამჯობინებთ და გადამჭრელ ზომებს არ მივმართავთ, ცურვა ჩვენს რესპუბლიკაში ველარსოდეს დაწინაურდება. დღეს რომ ცურვა „სულს ლაფავს", ამისი ერთ-ერთი მიზეზი ანგარებაა, ეს ყველამ კარგად დავიხსომოთ.

პატივცემულო რედაქცია!

თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში სულ უფრო პოპულარული ხდება რეგბი — ძველ კოლექტივებს თანდათან ახლები ემატებიან. გთხოვთ გაგვაცნოთ ერთ-ერთი მათგანი — ზოოვეტერინარული ინსტიტუტის რეგბისტთა გუნდი.

ილია შაიშმელაშვილი.

თბილისი.

საქართველოს ზოოვეტერინარულ სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში რეგბისტთა გუნდი 1981 წლის სექტემბერში ჩამოყალიბდა. გუნდს სათავეში ჩაუდგა თბილისის „ელვას" ყოფილი წევრი თემურ ცინცაძე. მეორე მწვრთნელად ივანე ბახტაძე მუშაობს. სხვათა შორის, ორივე მწვრთნელი შეგირდებთან ერთად მონაწილეობს თბილისისა და საქართველოს პირველობების მატჩებში.

1983 წელს ამ გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა თბილისის სტუდენტ რეგბისტთა კოლექტივების შეჯიბრებაში, მომდევნო წელს მეორე იყო ქალაქის პირველობაზე. შარშან ზოოვეტერინარული ინსტიტუტის რეგბისტებმა თბილისის უნივერსიადაზე მეორე ადგილი დაიკავეს, ქალაქის პირველობაზე კი მესამე ადგილზე გავიდნენ.

მოგეხსენებათ, თბილისელი რეგბისტების მუდმივი საფიქრალი და საზრუნავი სათამაშოდ და სავარჯიშოდ მინდვრის ხელში ჩაგდება გახლავთ. ამ მხრივ ზოოვეტერინარული ინსტიტუტის რეგბისტებს უკეთესი მდგომარეობა აქვთ, ისინი თავიანთი სასწავლებლის სტადიონზე ვარჯიშობენ. სასწავლებლის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს რეგბისთვის სპეციალური მოედანიც ააშენოს, რომელსაც თავად რეგბისტები კეთილმოაწყობენ.

ზოოვეტერინარული ინსტიტუტის გუნდი, რომლის ღირსებას წარმატებით იცავენ მალხაზ კაპანაძე, ბადრი ლომიძე, გია წიკლაური, ზვიად გიგაია, ჯარნოზ ჩარქსელიანი და სხვები, ახლა სტუდენტთა გუნდებისა და ქალაქის პირველობისათვის ემზადება.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კრივში

უძლიერესებთან ჭიდილი ოსტატობის სკოლაა

სულ რამდენიმე დღის წინ ალმა-ათაში დამთავრდა საბჭოთა კავშირის 52-ე ჩემპიონატი კრივში. ამ ასპარეზობის შესახებ ბოლო ინფორმაცია რომ მოგაწოდეთ, დაგპირდით, რომ სულ მალე უფრო ვრცლად მოგითხრობდით ამ შეჯიბრების შესახებ.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტული დელეგაცია ყაზახეთის დედაქალაქიდან თბილისს რომ დაბრუნდა, ჩვენ შევხვდით და ვესაუბრეთ საქართველოს სპორტკომიტეტის გამოყენებითი სახეობების სამმართველოს უფროსს ზაურ გვაჯავას. გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.

— დავიწყებ იმით, — თქვა ზაურ გვაჯავამ, — რომ ჩვენი გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც ათი მოკრივე იყო, ამ შეჯიბრებაში ცუდად არ გამოსულა. გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა მოკრივეებმა VII ადგილი დაიკავეს. იქნებ შეგვეძლო უკეთესი შედეგისთვის მიგვეღწია? შესაძლოა, მაგრამ წინდაწინვე გეტყვით, რომ ემელიანე ჯულუხაძე სწორედ შეჯიბრების დაწყების წინ გაგვიხდა ავად, ხვიჩა ხდრიანს კი, რომელმაც ცოტა ხნით ადრე ინდონეზიის „ა" კლასის ტურნირში გაიმარჯვა, შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია, მას დასვენება და ძალის აღდგენა სჭირდებოდა. ეს ორი კაცი კი საკმაოდ დიდი ძალაა ჩვენი გუნდისთვის.

თუ ალმა-ათის ბატალიებს ერევნის შარშანდელ ჩემპიონატს შევადარებთ, სადაც ალბერტ კაზანჯიანმა დაიმსახურა ოქროს მედალი, წინსვლა უთუოდ იგრძნობა. საქმე ისაა, რომ ერევანში მხოლოდ კაზანჯიანი ავიდა კვარცხლბეკზე, დანარჩენებმა კი მეოთხედფინალამდეც ვერ მიაღწიეს, ყაზახეთის დედაქალაქში კი ჩვენი რესპუბლიკის ორმა მოკრივემ დაიმშვენა ჯილდოებით მკერდი, სამიც მეოთხედფინალში გავიდა. თუმცა, მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ ალმა-ათაში ამჯერად ჩვენი ქვეყნის ყველა უძლიერესი მოკრივე შეიკრიბა, რადგან ეს შეჯიბრება, ამავე დროს, გახლდათ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. დიახ, თითქოს კმაყოფილები უნდა ვიყოთ, მაგრამ ჩვენ — მწვრთნელებსა და სპეციალისტებს საბოლოო შედეგები ბოლომდე მაინც არ გვაკმაყოფილებს. აქ, ამ ტურნირზე ნათლად დავინახეთ, რა შეცდომები დაგვიშვია მზადებისას. მაგალითად, მეტს ველოდით იური სავოჩკინისგან. მან მართლაც დიდი უპირატესობით მოიგო სამი ბრძოლა და მეოთხეშიც (რსფსრ-ის გუნდის წევრ ლეონიდ ბრონიკოვთან) მტკიცედ იდგა რინგზე, მაგრამ III რაუნდში გაუჭირდა. არადა, ბრონიკოვი იურიზე აშკარად სუსტი ჩანდა. ვერც მამუკა შალამბერიძემ იყოჩაღა — ერთ მეტოქეს კი ვაჟკაცურად გაუმკლავდა, მაგრამ მერე ველარც კი ვიცნობდით რინგზე. როგორც ჩანს, ჩვენთვის კვლავ ძალაშია III რაუნდის პრობლემა, არადა, ბრძოლის ეს მონაკვეთი თითქმის გადამწყვეტია კრივში. ერთი სიტყვით, იმისათვის, რომ ხალხთა სპარტაკიადაზე კარგად მომზადებულები წარვსდგეთ, ჯერ კიდევ დიდი გარჯა გვმართებს.

რაც შეეხება ვერცხლის პრიზიორს ალბერტ კაზანჯიანს, მას მეტად მძიმე ბრძოლების ჩატარება მოუხდა. სწორედ მისი დიდი გამოცდილების შედეგია ის, რომ მან III რაუნდში ლენინგრადელი ალექსანდრე არტემიევის წინააღმდეგობა დაძლია. საბოლოოდ ამან გადაწყვიტა კიდეც ორთაბრძოლის ბედი. ფინალში (მსოფლიო ჩემპიონ იური ალექსანდროვთან) დამარცხების მიუხედავად, ალბერტი მსოფლიო ჩემპიონატისწინა შეკრებაზე ხვიჩა ხდრიანთან ერთად მიიწვიეს. საინტერესოა ისიც, რომ ქვეყნის პირველი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა არტემ ლავროვმა კერძო საუბარში მითხრა, ოლიმპიურ თამაშებზე ალბერტის უმცროსი ძმის რუდიკ კაზანჯიანის დიდი „იმედი მაქვსო.

და ბოლოს, გაგაცნობთ, ვინ მოამზადა ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები საკავშირო ჩემპიონატისთვის: დიმიტრი დადიანმა, ალექსანდრე ჯაფარიძემ, ნიკოლოზ გარაბაჯიმ და ივანე ხატიაშვილმა.

ესაუბრა დავით გურული.

გაგაცნობთ 52-ე საკავშირო ჩემპიონატის ფინალურ წყვილებს (პირველად გამარჯვებულები არიან დასახელებული): **48 კგ.:** ნშან მუნჩიანი (სომხეთი), ალექსანდრე მახმუტოვი (რსფსრ); **51 კგ.:** ბეიბუთ ესყანოვი, ამზალი აკილბაევი (ორივე — ყაზახეთი); **54 კგ.:** იური ალექსანდროვი (რსფსრ), ალბერტ კაზანჯიანი (საქართველო); **57 კგ.:** სერიკ ნურკაზოვი (ყაზახეთი), სამსონ ხაჩატრიანი (სომხეთი), **60 კგ.:** ვლადიმერ სტეპანოვი, ლეონიდ ბრონიკოვი, **63,5 კგ.:** ვასილი შიშოვი (სამივე — რსფსრ), ერიკ ხაკიმოვი (ყაზახეთი); **67 კგ.:** ალექსანდრე ოსტროვსკი (რსფსრ), ანდრეი ტროცენკო (ლატვია); **71 კგ.:** მანველ ავეტისიანი, ბაბკენ საგრატიანი (ორივე — სომხეთი); **75 კგ.:** დიმიტრი ბოლიგუზოვი (რსფსრ), ასილბეკ კილიმოვი (ყაზახეთი); **81 კგ.:** ვიტალი კაჩანოვსკი (უკრაინა), რენატ ტროშჩევი (უზბეკეთი); **91 კგ.:** რამზან სებიევი, ევგენი სუდაკოვი (ორივე — რსფსრ); **+91 კგ.:** ალექსანდრე მიროშნიჩენკო (ყაზახეთი), ვალერი აბაჯიანი (რსფსრ).

სურათებზე: ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები ალბერტ კაზანჯიანი და იური სავოჩკინი.

ალექსანდრე კოტორაშვილისა და ჯემალ კახრაძის ფოტოები.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში
უმაღლესი ლიგა

49

მპიონთან ფრეც საპატიოა

აისი. ცენტრალური სტადიონი. 10 მარტი. 32.000 მაყურებელი.
რპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (კიევი) — 0:0.
ორპედო": აბუსერიძე, ფრუიძე, პაიკიძე, ჭელიძე, ვახაძე, ბარათა- კორძალიძე, ყორჟიკაშვილი, მეგრელაძე (კერესელიძე), შენგელია, ული (ხაგბა).
ნამო": ჩანოვი, იარემჩუკი, ბალტაჩა, კუზნეცოვი, დემიანენკო, იაკოვენკო, ბალი, ზავაროვი, ბელანოვი (ევტუშენკო), ბლოხინი.
ჯი: ა. სპირინი (მოსკოვი).
ბლიორები — 2:2.

ვანდელი ჩემპიონატის სტა- ქუთაისის „ტორპედოს" მე- სერიოზული გამოცდის ჩაბა- მოუწია: პირველივე ორ ტუ- საბჭოთა ფეხბურთის აღიარე- ლიდერებს შეხვდა. ეს თავი- ფსიქოლოგიური გამოცდაც თითოეული ტორპედოელის- და ახლა, როცა ორივე მატ- შედეგი ცნობილია, შეგვიძლია ით, რომ ჩვენმა ფეხბურთე- ეს გამოცდა საკმაოდ და- კოფილებლად ჩააბარეს... ფრე- რითმეტიკა მარტივია, გუნდი ქულას თავის აქტივში იწერს, კი კარგავს, ასეთ ძლიერ მეტოქეებთან აღებული თითო ქულა კი ტორპედოელთა დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა, ამ სასტარტო შეხვედრებმა ტორპედოელთა თამაშში ის ხარვეზებიც დაგვანახა, რომლებიც უახლოეს პერიოდში სასწრაფო აღმოფხვრას მოითხოვენ. ეს კი საჭირო და აუცილებელია, ვინაიდან მიმდინარე ჩემპიონატში ტორპედოელებს მეტად საპასუხისმგებლო ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი.

ახლა, რაც შეეხება კიევის დინამოელებთან მატჩს. იგი საკმაოდ დაბალ ტემპში დაიწყო, მეტოქეები მჭიდროდ ეთამაშებოდნენ ერთმანეთს. იბრძოდნენ ყოველი ბურთისათვის, ამასთან მცველები თავდამსხმელებს თავისუფალი მოქმედების საშუალებას არ აძლევდნენ...

ყოველი მასპინძელი გუნდი ცდილობს აქტიური შეტევებით მიაღწიოს სასურველ შედეგს, მაგრამ კიევის „დინამო" ის გუნდი არაა, რომ საკუთარ საჯარიმო მოედანს მხოლოდ მონდომებული თამაშით მიაჯაჭვო, თან მეტოქეთა სწრაფი, მოულოდნელი კონტრშეტევები უვნებელყო. ტორპედოელებმა ყველაფერი ეს კარგად გაითვალისწინეს, რაც უპირველესად იმაში გამოიხატა, რომ ისინი ცდილობდნენ რიცხობრივი უპირატესობა შეექმნათ მინდვრის ცენტრსა და საკუთარი საჯარიმო მოედნის შუა მონაკვეთში, რათა უყურადღებოდ არ დარჩენოდათ სტუმართა არც ერთი მანევრი. ნახევარმცველებმა და მცველებმა საკმაოდ კარგად გაართვეს თავი მათზე დაკისრებულ ამოცანას, რასაც ვერ ვიტყვით შეტევის ხაზის მოთამაშეებზე. ის ხარვეზები, წერილის დასაწყისში რომ ვახსენეთ, ძირითადად შეტევების ორგანიზებას შეეხება. ერთი სიტყვით, „ტორპედო" ამ მატჩში უკეთ იცავდა თავს, ვიდრე უტევდა. ეს, რა თქმა უნდა, საყვედური არ არის, ყოველი მატჩის ტაქტიკას უპირველეს ყოვლისა მეტოქე განაპირობებს, კიევის „დინამო" ერთობ ძლიერი მოწინააღმდეგეა საიმისოდ, რომ უკანმოუხედავად, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე უზრუნველად შეუტიო, მით უმეტეს, რომ თითოეულ ქულას აქედანვე უნდა გაფრთხილება.

ჩანოვსა და აბუსერიძეს პირველ ტაიმში დიდი ჯაფა არ დასდგომიათ, ორივე გუნდის ეპიზოდურ შეტევებს რაიმე სახიფათო მომენტი არ მოჰყოლია, თუმცა, ტაიმის ბოლო წუთზე ბელანოვს შეეძლო თავისი გუნდის დაწინაურება, მაგრამ მან ახლო მანძილიდან არაზუსტად დაარტყა.

თამაშის ტემპს არც მეორე ტაიმში მოუმატია, კვლავ მცველები „ჯაბნიდნენ" თავდამსხმ[illegible]ინც, ორჯერ ბლოხინი და [illegible] ჯერვე ვასაძე აღმოჩნდნენ საგოლე პოზიციებში, მაგრამ ხან მეკარეებმა იმარჯვეს, ხან დარტყმები გამოდგა არაზუსტი,

მატჩის მიწურულს მეტოქეები აშკარად შეურიგდნენ საყაიმო შედეგს. ამრიგად, „ტორპედომ" შეძლო ქულის აღება ძლიერ მეტოქესთან, ფრე ჩემპიონთან კი ყოველთვის საპატიოა.

თამაზ ხარაბაძე.
(„ლელოს" საკ. კორ.).

ბურთი ფეხბურთი

მეხიკო-86

ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 80 დღე

ოფლიოს XIII საფეხბურთო ჩემპიონატის წინ, როგორც ეს ყოვე- ის ხდება დიდ საფეხბურთო შეჯიბრებებში, პრესა, სპორტული მი- ლველები, სპეციალისტები და სხვანი ხშირად გამოთქვამენ თავიანთ რებებს, პროგნოზებს მომავალ შეხვედრათა შესახებ. რამდენიმე ასე- როგნოზი ჩვენს გაზეთშიც დაიბეჭდა.

ლ ახლახან უნგრეთის ცნობილმა სპორტულმა გაზეთმა „ნეპშპორ- ინტერვიუ ჩაატარა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილე ყვე- 4 გუნდის მწვრთნელთან. მათი ეს პროგნოზები, ვფიქრობთ, ყვე- საინტერესო და საყურადღებოა ფეხბურთის მოყვარულთათვის. ავაზობთ მწვრთნელთა პროგნოზებს მსოფლიო ჩემპიონატის წინასწა- ჯგუფების მიხედვით.

როგნოზები, როგნოზები...

ველი ჯგუფი

ზო ბეარზოტი (იტალია). წლის მსოფლიო ჩემპიონა- ზე, რომელიც ესპანეთში ჩატა- ჩვენს ნაკრებს არც ხეირიანი ები ჰქონდა და არც თამაშის კლასს ავლენდა, ამიტომ ც არავის ჩაუგდია სათვალა- ყოველ შემთხვევაში, ფავო- შორის მას არავინ ასახელე- არსებითად, ასეთივე მდგო- ობაა დღესაც. მაშინ, ესპანე- ჩვენ მსოფლიო ჩემპიონობა ოვეთ, ასეთი ამბიციები ახლა ელებს ჯერ არა გვაქვს, მა- ნუ ვიჩქარებთ, ყველაფერს ალი გვაჩვენებს.

ან ვუცოვი (ბულგარეთი). ბულგარელებს, ისიც გარკვე- წარმატებად მიგვაჩნია, ფინა- ტურნირში რომ ვთამაშობთ პირველივე ეტაპზე მძიმე გან- ლი გველის. ჩემპიონატის შე- ე ეტაპზე გასასვლელად უნდა ოთ იტალიისა და არგენტი- გუნდებს, ეს კი, მოგეხსენებათ, ძნელი საქმეა. მთელი ჩვენი ლებლობით ბრძოლა მოგვი-

ლოს ბილარდო (არგენტი- ველ ჯგუფში მეტად ძლიე- მეტოქეებმა მოიყარეს თავი, აც უაღრესად დაძაბული არგენტინელები წუთითაც ვკარგავთ გათამაშების მეორე ზე გასვლის იმედს, იქ კი, ა, საერთო ვითარება კიდევ დაძაბული იქნება. არგენ- ლები არ ვმალავთ: მარადონას იმედი გვაქვს. ყოველნაირად დებით გავამართლოთ გულ- შემატკივართა სურვილები და უკე- შედეგი ვაჩვენოთ, ვიდრე წელს ესპანეთში.

ი იუნგ ნამი (სამხრეთ კორეა). ალისტები ხშირად აღნიშნავენ, ჩვენს გუნდში მეტად სწრა- ქნილი ფეხბურთელები არი- ვაა და ეს, სხვა საიმედოს ვერაფერს უმატებენ. ეტყობა, ასეთ სიტუაციაში უფრო იოლად მოვახდენთ სენსაციას.

მეორე ჯგუფი

ველიბორ მილუტინოვიჩი (მექსიკა). ჩვენ ოპტიმისტები ვართ. ისიც კარგად ცნობილია, რომ მექსიკის ნაკრებმა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გააძლიერა თამაში. დიდად მოწადინებული ვართ, არა მარტო კარგი ორგანიზაცია და მასპინძლობა გავუწიოთ მსოფლიო ჩემპიონატს, მაღალი კლასის თამაშითაც მოვიპოვოთ ავტორიტეტი. თუ ისე მოხდა, რომ ნახევარფინალს მივაღწიეთ, იქ ჩვენი მეტოქე, ალბათ, ევროპის რომელიმე გუნდი იქნება.

გი ტისი (ბელგია). ჩვენი გუნდის ტრადიციული ბრძოლისუნარიანობის იმედი მაქვს, წინასწარი ჯგუფური ბრძოლის სიძნელეებსაც წარმატებით უნდა გავართვათ თავი. პირადად მე მექსიკის მაღალმთიანეთი და პირველი მეტოქეები იმდენად არ მაშინებს, რამდენადაც მსაჯობა. განსაკუთრებით მექსიკელებთან მატჩში...

კაეტანო რე (პარაგვაი). პარაგვაელი ფეხბურთელები ეს უკვე მეოთხედ მონაწილეობენ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალში, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი ახლანდელი გუნდი გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ყველა სხვა ადრინდელი. მე რომ ვთქვა ჩემპიონები გავხდებითო, ალბათ, დამცინებენ...

ჟორჟი სილვა დე ერა (ერაყი). მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად, მოგეხსენებათ, არ ვემზადებით, ჯერჯერობით გვინდა ცოტა რამ ვისწავლოთ უძლიერესთაგან. ყოველნაირად ვცდილობ ჩემმა ფეხბურთელებმა ბრაზილიელთაგან ისწავლონ ფეხბურთის თამაში.

მესამე ჯგუფი

ანრი მიშელი (საფრანგეთი). ბოლო წლებში საფრანგეთის ფეხბურთი დიდ აღმავლობას განიცდის. ჩვენი მთავარი კოზირია პლატინი — მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, გუნდის დირიჟორი. ჩვენს ჯგუფში ყველაზე ძლიერ მეტოქედ მიგვაჩნია სსრ კავშირის ნაკრები. საბოლოოდ ოთხ უძლიერეს გუნდს შორის უნდა მოვხვდეთ.

ედუარდ მალოფეევი (სსრ კავშირი). მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში ჩვენი გუნდი ერთ-ერთი ყველაზე ძნელი შესარჩევი ჯგუფიდან გავიდა, ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ საამისოდ ძალების სრული მობილიზება დაგვჭირდა. არც ერთ გუნდთან შეხვედრისა არ გვეშინია, მაგრამ თქმა იმისა, თუ ვინ გახდება მსოფლიო ჩემპიონი, ახლა არ შემიძლია.

დიერდ მეზეი (უნგრეთი). ჩვენი ნაკრების ფეხბურთელები ამჟამად ისეთ სპორტულ ფორმაში არიან, რომ მწამს მათი. წარმატებას მოგვიტანს ნაკრების საფუძვლიანი, სერიოზული მზადება, გარდა ამისა, კარგად ვიცნობ წინასწარი ჯგუფის თითოეულ მეტოქეს და ეჭვიც არ მეპარება, რომ გათამაშების მეორე ეტაპზე გავალთ.

ტონი უეიტერსი (კანადა). უნგრეთისა და საფრანგეთის ფეხბურთელებთან შეხვედრებში ჩვენ დაახლოებით ისეთივე შანსი გვაქვს, ეს ქვეყნები ჰოკეიში რომ შეხვდნენ კანადის საუკეთესო პროფესიულ გუნდებს. და, მიუხედავად ამისა, სულაც არ ვაპირებთ სტატისტთა როლში ყოფნას.

მეოთხე ჯგუფი

ტელე სანტანა (ბრაზილია). ლაპარაკი იმაზე, რომ ბრაზილიის ნაკრებმა გვიან დაიწყო სამზადისი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისთვის, უსაფუძვლოდ მიმაჩნია. ჩვენ იმდენი პირველხარისხოვანი ფეხბურთელი გვყავს, რომ დარჩენილი დროც სავსებით საკმარისად მიგვაჩნია მოსამზადებლად. ბრაზილიელები ყოველ მსოფლიო ჩემპიონატში ფავორიტები არიან, ასეა ახლაც!

მიგელ მუნიოსი (ესპანეთი). მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი, ჩემი აზრით, უხვგოლიანი არ იქნება, ეს კი ჩვენ ხელს გვაძლევს. მოხარული ვარ, რომ ერთ ჯგუფში ვიმყოფებით ბრაზილიელებთან, სხვა შემთხვევაში ამ მეტად ძლიერ გუნდთან შესახვედრად დაგვჭირდებოდა შეუპოვარი ბრძოლა საუკეთესო ოთხეულში მოსახვედრად...

ბილი ბინგჰემი (ჩრდილოეთ ირლანდია). მექსიკაში ძლიერი გუნდი და გამოცდილი პროფესიონალები მიგვყავს. იქ არ იქნებიან ისეთი მეტოქეები, რომლებსაც წარმატების შანსი არა აქვთ. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ყველა ძლიერად თამაშობს.

რაბაჰ სადანი (ალჟირი). ჩვენ, სიმართლე რომ ვთქვა, უფრო ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდისა გვეშინია, ვინაიდან ბრაზილიური და ესპანური ფეხბურთი ალჟირელთათვის სათამაშოდ უფრო იოლია.

მეხუთე ჯგუფი

ფრანც ბეკენბაუერი (გფრ). თანამედროვე ფეხბურთში აღარაა პელე, არაა დაუმარცხებელი გუნდებიც. ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა შესაძლებლობანი დაახლოებით თანაბარია, თუმცა, ჩვენს ჯგუფში სიტუაცია ყველაზე უფრო რთულია...

ომარ ბორასი (ურუგვაი). თუ საჭირო დროისთვის შევძლებთ იმ უძლიერესი ურუგვაელი ფეხბურთელების ერთად თავმოყრა, რომლებიც მსოფლიოს ყველა მხარეში იმყოფებიან, შეგვიძლია თავი დაიმედებულად ვიგრძნოთ. რა პროგნოზებიც არ უნდა გააკეთონ, რაც უნდა ილაპარაკონ, ჩვენ მსოფლიო ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ.

სეპ პიონტეკი (დანია). სადაც არ უნდა ჩავიდე, ყველგან ერთი მესმის: თქვენი ნაკრები ძალზე ძლიერია. და ეს სრული სიმართლეა: ჩვენ ახლა მართლაც ძლიერად ვთამაშობთ, ამიტომ, ჩემპიონატის მეორე ეტაპზეც გავალთ.

ალექს ფერგიუსონი (შოტლანდია). ზედმეტი ლაპარაკი არ მიყვარს: ტეხასში აკლიმატიზაციისთვის მივემგზავრებით, დიდი სურვილი გვაქვს წარმატებით ვითამაშოთ მსოფლიო ჩემპიონატში.

მეექვსე ჯგუფი

ანტონი პეხნიჩეკი (პოლონეთი). მსოფლიო ჩემპიონატებში პოლონეთის ნაკრები გაცილებით უკეთესად თამაშობს, ვიდრე სხვა დროს, აქ ყოველთვის რაღაც განსაკუთრებული განწყობა გვაქვს ხოლმე. ახლაც საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას ვაპირებთ.

ბობი რობსონი (ინგლისი). მე რომ მკითხოთ, დაახლოებით 10-12 გუნდს აქვს საშუალება უძლიერესის წოდებისთვის იბრძოლოს. პირადად მე გამარჯვების კანდიდატებად ურუგვაელები მიმაჩნია, ვინაიდან ახლა სწორედ ისინი თამაშობენ ყველაზე თანამედროვე ფეხბურთს.

ჟოზე ტორეში (პორტუგალია). ყურადღება მიაქციეთ 19 წლის პაულო ფუტრეს: იგი მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი იქნება! რაც შეეხება წარმატების შანსებს, იგი ყველას აქვს.

ჟოზე ფარია (მაროკო). მინდა ჩემპიონობა ვუწინასწარმეტყველო ჩვენი ჯგუფის რომელიმე გუნდს, მაგრამ სულით და გულით ბრაზილიელთა მხარესა ვარ.

ბრაზილიელთა ენთუზიაზმი

ბრაზილიის ნაკრები უკვე შეუდგა მსოფლიო ჩემპიონატისათვის სამზადისს. უფროსი მწვრთნელის ტელე სანტანას აზრით, ენთუზიაზმი და მონდომება არც ფეხბურთელებს აკლიათ და არც მომსახურე პერსონალს. მე რომ მკითხოთ, ამბობს იგი, ეს კარგიც არის — ყველანი დარწმუნებული არიან, რომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული სწორედ მათ უნდა მოიპოვონ.

ბრაზილიის გუნდს, რომელიც ერთი თვის წინ არც კი არსებობდა მიმომხილველთა აზრით, ერთი დიდი უპირატესობა აქვს. ეროვნული კონფედერაციის გადაწყვეტილებით, ნაკრების წევრები განთავისუფლებული არიან შიდაური ჩემპიონატისაგან და მექსიკის ბატალიების დამთავრებამდე სანტანას განკარგულებაში იქნებიან.

ვარჯიშის ამ ეტაპზე მწვრთნელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ევროპულ ტურნეს, სადაც ბრაზილიელები გფრ-ისა და უნგრეთის ეროვნულ გუნდებს შეხვდებიან. საკვანძო ადგილებს ამ ტურნეში გამოცდილი ფეხბურთელები ლეანდრო, ზიკო, ფალკაო, ედერი და სოკრატესი დაიკავებენ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მწვრთნელი ახალბედების როლსა და მნიშვნელობას უარყოფდეს. მათ თავიანთი „ამბიციები" ბრძოლაში უნდა განამტკიცონ.

სანტანას პროგნოზებზე ლაპარაკი არასდროს არ უყვარდა. ამ ჩვეულებას იგი ახლაც იცავს. განსაკუთრებით ჯიუტ ჟურნალისტებს კი ერთსა და იმავე სიტყვებით ისტუმრებს:

— მეორე ადგილისთვის ბრძოლა ყველა გუნდს ერთნაირად შეუძლია.

— პირველ ადგილზე ვინღა გაგყავთ?

— ამას ფინალური მატჩის შემდეგ გეტყვით.

ფეხბურთის ინტერესებისთვის

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა მხარი დაუჭირა იდეას, რომ 1988 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ერთდროულად ჩატარდეს სამხრეთ კორეაშიც და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც.

— თუ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი დაადგენს, რომ ოლიმპიადა კორეის ორივე ნაწილში ჩატარდეს, ფეხბურთი ამით მხოლოდ მოიგებს, — განაცხადა ჟ. აველანჟმა ჰავანაში ჟურნალისტებთან საუბრის დროს.

ფიფა-ს პრეზიდენტმა დადებითად შეაფასა კუბაში თავისი სტუმრობის შედეგები, ამ ქვეყანაში მან მონაწილეობა მიიღო ფეხბურთის მწვრთნელთა მოსამზადებელი კურსების მუშაობაში, დაათვალიერა ჰავანის სპორტული ნაგებობები, შეხვდა კუბის სპორტულ ხელმძღვანელებს.

ჟ. აველანჟმა განაცხადა: „ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას განზრახული აქვს ყოველგვარი შესაძლებლობა შეუქმნას კუბას სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის".

ეროვნული ბიბლიოთეკა

კროსი და ენთუზიასტები

მოგეხსენებათ, ენთუზიასტებს ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეუძლიათ, მაგრამ თუ ქომაგნი და მხარისდამჭერნი გამოუჩნდნენ, ასჯერ მეტს გააკეთებენ. მძლეოსნობის ენთუზიასტებმა, გამაჯანსაღებელი ჯგუფის „კუს“ წევრებმა თავიანთი შეფების მხარდაჭერით მძლეოსანთა და რბენის მოყვარულთა ასპარეზობების კალენდარი ორი ლამაზი შეჯიბრებით გაამდიდრეს. ერთ-ერთი მათგანის შესახებ, რომელსაც „მგლის მუხლი“ ერქვა, უკვე ვწერდით. გუშინწინ კი, „ლოკომოტივის“ სტადიონზე და გამარჯვების პარკის მიდამოებში ჩატარდა კროსი „ერთგულების თასი“, რომლის, მოთავე და ინიციატორი მწვრთნელი ლექსო ბურნაძე გახლდათ. ბურნაძე მარტო ალბათ ვერაფერს გახდებოდა, მხარში რომ არ ამოდგომოდნენ „საქვენტრემონტის“ სამმართველოს (უფროსი ზ. ბუხრაშვილი) მუშაკები, სტადიონ „ლოკომოტივისა“ (დირექტორი გ. ჭანტურიძე) და გამარჯვების კულტურისა და დასვენების პარკის (დირექტორი ჯ. ბოკუჩავა) თანამშრომლები. კროსის მონაწილეთა აზრით, ასეთ ორგანიზებულ და საინტერესო შეჯიბრებაში მონაწილეობა იშვიათად უწევთ ჩვენს მძლეოსნებს. „ლექსოს კროსის“ (მონაწილეებმა ასე მონათლეს შეჯიბრება) სტარტზე სულ 100-მდე მორბენალი გამოვიდა. აბსოლუტურ პირველობაში 5240-მეტრიან დისტანციაზე ყველას შალვა ნადირაძემ აჯობა. მომდევნო ადგილებზე ვალერი გედევანიშვილი და იური ციგულიოვი გავიდნენ. ქალთა შორის გამარჯვებულს ნატო ჭალიაშვილს გარდამავალი თასი გადაეცა. საგანგებო ჯილდოები მიიღეს შეჯიბრების ყველაზე უფროსმა და უმცროსმა მონაწილეებმა, ვეტერანებმა, ოჯახების შეჯიბრებაში გამარჯვებულებმა...

სურათებზე: კროსის მონაწილეები დისტანციაზე.

ჯუმბერ ხუბუას ფოტოები.

გურამ გობეჯიშვილი

მოულოდნელად გარდაიცვალა სსრ კავშირის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში, სკკპ წევრი 1961 წლიდან, რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული გურამ სერაპიონის ძე გობეჯიშვილი.

გურამ გობეჯიშვილი დაიბადა 1934 წელს ონის რაიონის სოფელ სურუთში. 1952 წელს დაიწყო ვარჯიში ონის სპორტული სკოლის თავისუფალი ჭიდაობის სექციაში. ამავე წელს გახდა საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. 1958 წელს ჩაირიცხა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე და ვარჯიში ილია ბობოხიძესთან განაგრძო.

50-იან წლებში გ. გობეჯიშვილმა არაერთხელ გაიმარჯვა რესპუბლიკურ პირველობებში, 1957 წელს მესამე ადგილი დაიკავა საკავშირო ჩემპიონატზე, მომდევნო წელს კი ქვეყნის ჩემპიონი გახდა საშუალო წონაში და საკავშირო ნაკრებშიც მიიწვიეს. 1961 წელს გურამ გობეჯიშვილი იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა. 1967 წელს საქართველოს ნაკრები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე პირველ ადგილზე გავიდა, ჩვენი გუნდის შემადგენლობაში სხვებთან ერთად გ. გობეჯიშვილიც გამოდიოდა.

გ. გობეჯიშვილი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, მან თავი გამოიჩინ როგორც უნარიანმა, პრინციპულმ სამეურნეო ხელმძღვანელმა, დაჯილდოებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. სახელოვან ფალავანს ჭიდაობასთან კავშირი არ გაუწყვეტია, უძღვებოდა ბავშვთა სპორტულ სექციებს, გამოცდილებას გადასცემდა ახალგაზრდობას.

წავიდა ჩვენგან ნამდვილი სპორტსმენი და მოქალაქე, კეთილშობილი და გულღია ადამიანი, რომელმაც ღირსეული კვალი დატოვა ქართულ სპორტში.

საქართველოს სპორტკომიტეტი, თავისუფალი ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია.

46-ე ტრადიციული

გუშინ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, დაიწყო საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 46-ე ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა). შეჯიბრებაში 13 ვაჟი და ერთი ქალი — საერთაშორისო დიდოსტატი ნანა იოსელიანი მონაწილეობს.

კენჭისყრის შემდეგ სატურნირო ცხრილი ასე შეივსო: 1. ნანა იოსელიანი (თბილისი, რეიტინგი 2349), 2. ოსტატობის კანდიდატი ხვიჩა სუპატაშვილი (ქუთაისი, 2200), 3. ოსტატობის კანდიდატი გოჩა თორია (ზუგდიდი, 2250), 4. ოსტატი მიხეილ კრასენკოვი (ბათუმი, 2408), 5. ოსტატი გია ბაღათუროვი (თბილისი, 2321), 6. ოსტატი იური ჩიქოვანი (თბილისი, 2305), 7. ოსტატობის კანდიდატი დავით ჩაჩიბაია (ცხაკაია, 2283), 8. ოსტატი იგორ ეფიმოვი (2376), 9. ოსტატი გია გიორგაძე (თბილისი, 2368), 10. ოსტატობის კანდიდატი გოჩა ტყებუჩავა (ცხაკაია, 2231), 11. საერთაშორისო ოსტატი ელიზბარ უბილავა (თბილისი, 2519), 12. ოსტატობის კანდიდატი მიხეილ ჭიპაშვილი (თბილისი, 2200), 13. ოსტატი ალექსანდრე ბოკუჩავა (თბილისი, 2304), 14. ოსტატობის კანდიდატი ლაშა ჯანჯღავა (თბილისი, 2200).

I-II ადგილებზე გასული მოჭადრაკეები სსრ კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალის საგზურებს მიიღებენ.

შეჯიბრებაში დაწესდა სპორტის ოსტატის ნორმატივი — 13-დან 9 ქულა.

ჩემპიონატის მსაჯთა კოლეგიას ხელმძღვანელობს საერთაშორისო არბიტრი, სსრ კავშირის სპორტის საპატიო მსაჯი თენგიზ გიორგაძე.

შეჯიბრება 29 მარტამდე გასტანს.

გუშინ პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა. ჯანჯღავამ მოუგო იოსელიანს, სუპატაშვილმა — ბოკუჩავას, ბაღათუროვმა — ტყებუჩავას, ეფიმოვმა — ჩაჩიბაიას. დაზავდნენ თორია — ჭიპაშვილი, კრასენკოვი — უბილავა, ჩიქოვანი — გიორგაძე.

დღეს 12 მარტს გაიმართება II ტურის შეხვედრები. დასაწყისი 15 საათზე.

ჩოგბურთი

ბელგრადი. დევისის თასზე საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ჩოგბურთელთა შეხვედრაში მასპინძლებმა იმარჯვეს — 3:2. პირველი ორი დღის შედეგებით წინ საბჭოთა სპორტსმენები იყვნენ (2:1). მაგრამ ასპარეზობის ბოლო დღეს მათ ერთეულთა ორივე შეხვედრა წააგეს. ბრუნო ორეშარმა ალექსანდრე ზვერევს აჯობა — 6:3, 6:2, 7:5, ხოლო სლობოდან ჟივოინოვიჩმა ანდრეი ჩესნოკოვი დაამარცხა — 6:3, 6:3, 3:6, 6:4.

გაიმართა დევისის თასის გათამაშების სხვა შეხვედრებიც. ორი ბოლო ტურნირის ჩემპიონმა შვეციის გუნდმა დანიის ნაკრებს აჯობა — 5:0, აშშ-ის ჩოგბურთელებმა კი რის ვაი-ვაგლახით ეკვადორის გუნდი დაამარცხეს — 3:2 (ამერიკელთა ნაკრებში არც ჯონ მაკინროუ და არც ჯიმი კონორსი არ თამაშობდნენ). სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ინგლისი — ესპანეთი 4:1, ავსტრალია — ახალი ზელანდია 4:1, ინდოეთი — ჩეხოსლოვაკია — 1:4.

ტანვარჯიში

ახლახან კაუნასში გაიმართა სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან ყველაზე უკეთ გამოვიდა გ. ეგნატაშვილის სახელობის ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშის სპორტული სკოლის აღსაზრდელი, 12 წლის ეკა ბარამია (მწვრთნელი დალი სირაძე), რომელიც პირველად ასპარეზობდა ოსტატობის პროგრამით. ეკამ თავისუფალ ვარჯიშსა და ხტომებში ვერცხლის მედლები მიიღო, ძელზე ვარჯიშში კი მესამე შედეგი აჩვენა. პირველთანრიგოსან ვაჟებს შორის რგოლებზე ვარჯიშში მესამე ადგილი დაიკავა თბილისელმა ირაკლი ცაგარეიშვილმა (მწვრთნელი იუზა ონაშვილი).

გუნდურ ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეები (გოგონებიც და ვაჟებიც) მეექვსე ადგილზე გავიდნენ.

ხელოვნის საღამო

ამას წინათ საქართველოს სსრ კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მოეწყო პირველი მსოფლიო ჩემპიონის ვერა მენჩიკის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. მეცნიერ-მუშაკთა სამკითხველო დარბაზში, რომელსაც ლეგენდარული მოჭადრაკის დიდი ნახატი პორტრეტი ამშვენებდა, ცნობილი მოჭადრაკეები და გულშემატკივრები შეიკრიბნენ. ფოიეში მათ დიდი ინტერესით დაათვალიერეს ქალთა მსოფლიო პირველობის გათამაშებისადმი მიძღვნილი გამოფენა.

საღამო გახსნა ბიბლიოთეკის დირექტორმა აკაკი ძიძიგურმა. მოხსენება ვერა მენჩიკის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გააკეთა „ლელოს“ საჭადრაკო დამატება „მერანის“ რედაქტორმა, საერთაშორისო არბიტრმა თენგიზ გიორგაძემ.

სიტყვები წარმოთქვეს და შეკრებილთა მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხეს მსოფლიოს ექსჩემპიონმა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა დიდოსტატმა ნონა გაფრინდაშვილმა და დიდოსტატმა ნანა იოსელიანმა.

დასასრულს გაფრინდაშვილმა და იოსელიანმა ერთდროული თამაშის სეანსი ჩაატარეს და ყველა პარტია მოიგეს.

ნინო ხიმონიშვილი

კალეიდოსკოპი

კლამერისა და ტონის აზრით

მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა სამთომოთხილამურემ, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, 32 წლის ავსტრიელმა ფრანც კლამერმა თავი დაანება აქტიურ სპორტს და ხელი ბიზნესს მიჰყო, მაგრამ იგი სპორტში მაინც ავტორიტეტად რჩება. კლამერს ყურს უგდებენ, მის ყოველ წინადადებასა და შენიშვნას ანგარიშს უწევენ.

ამას წინათ კლამერმა მკაცრად გაილაშქრა მსოფლიო თასის გათამაშების ორგანიზატორთა წინააღმდეგ და ამ შეჯიბრების ეტაპების რაოდენობის შემცირება მოითხოვა. კლამერი ამტკიცებს, რომ სამთო-სათხილამურო სპორტი მხოლოდ სამ სახეობას — სწრაფდაშვებას, გიგანტურ და სპეციალურ სლალომს უნდა მოიცავდეს, რომ „სუპერგიგანტი“ შეჯიბრების პროგრამას ხელოვნურად ზრდის და აკნინებს.

კლამერს ალბათ დაეჯერება. ამ ავსტრიელს თერთმეტი წლის განმავლობაში მსოფლიო თასის გათამაშების 25 ეტაპი აქვს მოგებული.

კლამერს ეთანხმება და მხარს უჭერს პოპულარული იტალიელი სამთომოთხილამურე, მსოფლიო თასის ოთხ ეტაპზე გამარჯვებული გუსტავო ტონიც.

ლიდერი და მისი მეგობრები

ბიატლონისტთა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჟურნალისტებმა და სპეციალისტებმა საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლა საგანგებოდ გამოჰყვეს და მას „ჰოლმენკოლენის საოცრება“ უწოდეს. ნორვეგიაში განსაკუთრებული პოპულარობით საბჭოთა გუნდის წევრი, 21 წლის დებიუტანტი ვალერი მედვედცევი სარგებლობდა, რომელმაც ერთი ჟურნალისტის მოსწრებული თქმით „მსოფლიოს მთელი ოქრო შინ წაიღო ისე, რომ არავისთვის არ გაუნაწილებია“.

სპეციალისტთა აზრით, საბჭოთა ბიატლონისტებს მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებში კიდევ დიდხანს ვერავინ აჯობებს. გუნდს ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი (ვალერი მედვედცევ დაახლოებით თანაბარი სიძლ ერის სხვა წევრები და კარგი რ ზერვი (კონსტანტინე ვაიგინი, ა ექსანდრე პოპოვი, ვალერი კირ ენკო, ანატოლი ჟდანოვიჩი). საბ ჭოთა ბიატლონისტების მთავარ კოზირია სიზუსტე და მტკიც ნერვები არამხოლოდ ცეცხლ ხაზზე, არამედ მთელს დისტა ციაზე.

კალეიდოსკოპი

მოსალოდნელი ცვლილებები

ბევრ ქვეყანაში ფიგურულ ციგურაობამ აუდიტორია დაკ გა. ამ ფაქტს ისუ-ს (მოციგურ თა საერთაშორისო კავშირი) პრ ზიდენტი ნორვეგიელი ოლაფ პ ულსენი რამდენიმე მიზეზით ხსნ პირველი და უმთავრესი მათ შო რის რეკლამის არასწორი ორგა ნიზაციაა. შეჯიბრების მომწყობ ქვეყანას არ ანაღვლებს გაუყიდ ვი ბილეთები და ცარიელი დარ ბაზები, ვინაიდან ტელევიზიისაგა უკვე საკმარისი გასამრჯელო აქვ მიღებული. ასეთ პირობებში ცი გურაობას წამგებიან სპორტად ჩავთვლით.

ზოგიერთები პროგრამიდან „სკ ლის“ ამოღებას მოითხოვენ, სხვ თა შორის, ამას არც თავ პრეზიდენტი ეწინააღმდეგება, მა გრამ იგი კონსერვატულად გან წყობილ სპეციალისტებს ჯერჯერო ბით ანგარიშს უწევს.

ექსპერტთა აზრით, მსგავსი ს შიშროება ციგურაობასაც ემუქ რება. ამიტომ ფედერაცია აპ რებს შეჯიბრებები ღია საციგუ რაოებიდან დარბაზებში გადა ტანოს. მალე ალბათ მსოფლი რეკორდების რეგისტრაციის სა მეც გადაისინჯება. ყოველ შემ ხვევაში არსებობს მოსაზრებ რომ მსოფლიო რეკორდად მხო ლოდ ერთი შედეგი დამტკიცდე (მნიშვნელობა არა აქვს იმას, თ სად იქნება ნაჩვენები ეს შედე გი — დაბლობ რაიონებში, მთი ნეთში თუ დახურულ დარბაზში)

რედაქტორის მოადგილ
თ. გაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსი:
68425

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 00369